




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 74



2016 წლის 1 აგვისტო

ხაშური


ინდივიდუალური მეწარმე მამუკა კობალაძისთვის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით ფართის გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსული 2016 წლის 14 ივლისის № 5157 განცხადებით ინდივიდუალურმა მეწარმე მამუკა კობალაძემ (პ/ნ 57001038962) მოგვმართა თხოვნით 1 თვის ვადით პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხაშურში, დაბა სურამში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე (ს/კ 69.04.62.138) უძრავი ქონებიდან (დასასვენებელი პარკი) 10.00 კვ.მ ფართის გადაცემა გასართობი ატრაქციონების განსათავსებლად. ინდივიდუალური აუდიტორის ლია ცუცქირიძის 2016 წლის 31 მაისის N48/05-1 აუდიტორული დასკვნის შესაბამისად 1 კვ.მ უძრავი ქონების საიჯარო ქირა განისაზღვრა 5 ლარის ოდენობით:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხაშურში, დაბა სურამში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე (ს/კ 69.04.62.138) უძრავი ქონებიდან (დასასვენებელი პარკი) 10.00 კვ.მ ფართი, გასართობი ატრაქციონის განსათავსებლად, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 1 თვის ვადით გადასცეს ინდივიდუალურ მეწარმე მამუკა კობალაძეს (პ/ნ 57001038962).
2. უძრავი ქონების ერთი თვის საიჯარო ქირა განისაზღვროს 50 ლარის ოდენობით.
3. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
4. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე